

ევროკომისია

ბრიუსელი, 2009 წლის 7 მაისი

8435/09 (Presse 78)

**პრაღაში აღმოსავლეთის პარტნიორობის შესახებ გამართულ სამიტზე მიღებული
ერთობლივი დეპლარაცია**

პრაღა, 2009 წლის 7 მაისი

დამსწრე საზოგადოება

ევროკავშირს წარმოადგენენ:

ბატონი მირეკ ტოპოლანეკი

ევროსაბჭოს პრეზიდენტი

ბატონი ხოსე მანუელ ბაროზო

ევროკომისიის პრეზიდენტი

ბატონი ხავიერ სოლანა

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი.

**საერთო საგარეო და უსაფრთხოების
პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი**

სომხეთის წარმომადგენელი
ბატონი სერჟ სარგსიანი
ავსტრიის წარმომადგენელი
ბატონი პანს დიეტმან შვაისგუტი
აზერბაიჯანის წარმომადგენელი
ბატონი ილჰამ ალიევი

ბელორუსის წარმომადგენელი
ბატონი ვლადიმირ სემაშკო

ბელგიის წარმომადგენელი

ბატონი პერმან ვან რომპუ

ბულგარეთის წარმომადგენელი

ბატონი სერგეი სტანიშვი

კვიპროსის წარმომადგენელი

ბატონი მარკოს კიპრიანუ

ჩეხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი

ბატონი მირეკ ტოპოლანეკი

დანიის წარმომადგენელი

ბატონი ლარს ლოკე რასმუსენი

ესტონეთის წარმომადგენელი

ბატონი ანდრეს ანსიპი

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი

ავსტრიის მუდმივი წარმომადგენელი
ევროპაგმირში

აზერბაიჯანის რესპუბლიკის
პრეზიდენტი

ბელორუსის რესპუბლიკის

პრემიერ მინისტრის პირველი
მოადგილე

ბელგიის სამეფოს პრემიერ მინისტრი

ბულგარეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო
საქმეთ მინისტრი

ჩეხეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

დანიის სამეფოს პრემიერ მინისტრი

ესტონეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

ფინეთის წარმომადგენელი

ბატონი მატი ვანპანენი

ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

საფრანგეთის წარმომადგენელი

ბატონი ფრანსუა ფილონი

საფრანგეთის რესპუბლიკის
პრემიერ მინისტრი

საქართველოს წარმომადგენელი

ბატონი მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტი

გერმანიის წარმომადგენელი

ქალბატონი ანგელა მერკელი

გერმანიის ფედერალური
რესპუბლიკის კანცლერი

საბერძნეთის წარმომადგენელი

ბატონი კონსტანტინოს კარამანლისი

საბერძნეთის რესპუბლიკის
პრემიერ მინისტრი

უნგრეთის წარმომადგენელი

ბატონი გორდონ ბაჯნაი

უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

ირლანდიის წარმომადგენელი

ბატონი ბრაიან კოუენი

ირლანდიის მთავრობის მეთაური

იტალიის წარმომადგენელი

ბატონი მაურიციო საკონი

იტალიის რესპუბლიკის სოციალური
უზრუნველყოფის მინისტრი

ლატვიის წარმომადგენელი

ბატონი ვალდის დომბროვსკისი

ლატვიის რესპუბლიკის პრემიერ
მინისტრი

ლიტვის წარმომადგენელი

ბატონი გიგაუდას უშაცეასი

ლიტვის რესპუბლიკის საგარეო

საქმეთა მინისტრი

ლუქსემბურგის წარმომადგენელი

ბატონი ჟან ასელბორნი

ლუქსემბურგის პრემიერ მინისტრის

მოადგილე და საგარეო საქმეთა

და იმიგრაციის მინისტრი

მალტის წარმომადგენელი

ბატონი ტონიო ბორგი

მალტის რესპუბლიკის პრემიერ

მინისტრის მოადგილე და საგარეო

საქმეთა მინისტრი

პოლონეთის წარმომადგენელი

ბატონი ლონალდ ტუსკი

პოლონეთის რესპუბლიკის პრემიერ

მონისტრი

პორტუგალიის წარმომადგენელი

ბატონი ლუის ამადო

პორტუგალიის რესპუბლიკის

საელმწიფო მინისტრი და საგარეო

საქმეთა მინისტრი

მოპდოვის რესპუბლიკის წარმომადგენელი

ბატონი ანდრეი სტრატანი

მოლდავეთის რესპუბლიკის

პრემიერ მინისტრის მოადგილე და

საგარეო საქმეთა და ეგროპის

ინტეგრაციის მინისტრი

რუმინეთის წარმომადგენელი

ბატონი ემილ ბოკი

რუმინეთის პრემიერ მინისტრი

სლოვაკეთის წარმომადგენელი

ბატონი რობერტ ფიკო

სლოვაკეთის რესპუბლიკის

პრემიერ მინისტრი

სლოვენიის წარმომადგენელი

ბატონი ბორუტ პაშտრი

სლოვენიის რესპუბლიკის პრემიერ

მინისტრი

ესპანეთის წარმომადგენელი

ბატონი მიგელ ანგელ მორატინოსი

ესპანეთის სამეფოს საგარეო

საქმეთა მინისტრი

შვედეთის წარმომადგენელი

ბატონი ფრედერიკ ფრაინფელდტი

შვედეთის სამეფოს პრემიერ

მინისტრი

ნიდერლანდების წარმომადგენელი

ბატონი ჟან პიტერ ბალკენენდე

ნიდერლანდების სამეფოს პრემიერ

მინისტრი

უკრაინის წარმომადგენელი

ბატონი ვიქტორ იუშჩენკო

უკრაინის პრეზიდენტი

გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენელი

ბატონი ლევიდ მილიბანდი

გაერთიანებული სამეფოს, დიდი

ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ

ირლანდიის სახელმწიფო მდივანი

საგარეო და სოციალური

უზრუნველყოფის საქმეთა დარგში

ევროპარლამენტის წარმომადგენელი

ბატონი პანს-გერტ პოტერინგი

ევროპარლამენტის პრეზიდენტი

რეგიონალური კომიტეტის წარმომადგენელი

ბატონი ლუც გან დენ ბრანდე

რეგიონალური კომიტეტის

გენერალური მდივანი

ეკონომიკისა და სოციალური

კომიტეტის წარმომადგენელი

ბატონი ივან ვოლეში

ეკონომიკისა და სოციალური

კომიტეტის წევრი

ეკონომიკის საინვესტიციო ბანკის

წარმომადგენელი

ბატონი ფილიპ მაისტადტი

ეკონომიკის საინვესტიციო ბანკის

პრეზიდენტი

ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და

განვითარების ბანკის წარმომადგენელი

ბატონი თომას მიროუ

ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და

განვითარების ბანკის

პრეზიდენტი

სომხეთის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ბელორუსის რესპუბლიკის, საქართველოს, მოლდოვის რესპუბლიკისა და უკრაინის სახელმწიფოსა თუ მთავრობის მეთაურები და წარმომადგენლები, ასევე ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოსა თუ მთავრობის მეთაურები და წარმომადგენლები შეხვდნენ პარლამი ურთიერთობათა ახალ დონეზე გადასვლის მიზნით, რაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩამოყალიბებასა და ქვემოთ წარმოდგენილი ერთობლივი დეკლარაციის მიღებას გულისხმობს.

კიდევ უფრო ამბიციური პარტნიორობა ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის

1. აღმოსავლეთის პარტნიორობით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და მათი აღმოსავლეთ ევროპელი პარტნიორები (შემდგომში პარტნიორი ქვეყნები) იწყებენ საერთო მცდელობებს, რაც ეფუძნება საერთო ინტერესებსა და ვალდებულებებს, ასევე პასუხისმგებლობის განაწილებას. ეს ყოველივე ერთობლივად შემუშავდება და სრულიად გამჭვირვალე იქნება.

პრაღის სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ აღმოსავლეთის პარტნიორობას საფუძვლად დაედება იმ ვალდებულებათა შესრულება, როგორებიცაა: საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ფუნდამენტური ფასეულობები დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანთა უფლებათა დაცვისა და ფუნდამენტურ თავისულფლებათა ჩათვლით. აღნიშნულ ჩამონათვალში ასევე შევა საბაზრო გვონიმიკა, მდგრადი განვითარება და კარგი მმართველობა.

აღმოსავლეთის პარტნიორობა ემყარება და, ამავე დროს, ავსებს არსებულ ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ეს პარტნიორობა ისე უნდა განვითარდეს, რომ თითოეული პარტნიორი ქვეყნის მისწრაფებას, პქონდეს ევროკავშირთან სამომავლო ურთიერთობა, არ ეწინააღმდეგებოდეს. იგი იმართება პარტნიორ ქვეყნებში არსებული პირობებისა და განსხვავებულობის (დიფერენციაციის) პრინციპების გათვალისწინებით.

აღმოსავლეთის პარტნიორობა პარალელურ რეჟიმში განავითარებს ლიბერალურ თანამშრომლობას ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებს შორის.

2. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის მთავარი მიზანია, მოამზადოს ნიადაგი, რათა დაჩქარდეს პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური ასოცირების საკითხი ევროკავშირში და სამომავლოდ ისინი ჩაერთონ ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ევროკავშირის პოლიტიკის საგრძნობი გაძლიერება პარტნიორი ქვეყნების კუთხით, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის განზომილებას კიდევ უდრო განავითარებს. ამ მიზნით აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა შეეცდება ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ რეფორმებს პარტნიორ ქვეყნებში, რათა ხელი შეუწყოს მათ ევროკავშირთან დაახლოებას. ყოველივე ზემოთ თქმული ემსახურება როგორც ევროკავშირის, ასევე პარტნიორი ქვეყნებისა და, შესაბამისად, მთლიანი კონტინენტის საერთო სწრაფვას სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისაკენ.

ადმოსავლეთის პარტნიორობამ ხელი უნდა შეუწყოს სტაბილურობასა და მრავალმხრივი ნდობის აღდგენას. ვინაიდან კონფლიქტი აფერხებს თანამშრომლობას, ამიტომ პრაღის სამიტის მონაწილეებმა განსაკუთრებულად გაამახვილეს ყურადღება მშვიდობის აღრეულად დარეგულირების თაობაზე. ეს უნდა ეფუძნებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს, რომლის ფარგლებშიც მოხდება გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების დამტკიცება.

გარდა ამისა, ადმოსავლეთის პარტნიორობა ხელს შეუწყობს, რომ პარტნიორმა ქვეყნებმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ ერთმანეთთან.

ადმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მკაფიო პოლიტიკური გზაგნილი პარტნიორი ქვეყნებისათვის არის დაწყებული რეფორმების კურსის შენარჩუნების აუცილებლობა. ის აგრეთვე შეეცდება დამატებითი სტიმული მისცეს პარტნიორ ქვეყნებს ეკონომიკური, სოციალური და რეგიონული განვითარების კუთხით. აღნიშნული ინიციატივა შეეცდება დანერგოს კარგი მმართველობა საფინანსო სექტორის ჩათვლით, ხელს შეუწყობს რეგიონულ განვითარებას და სოციალური ინტეგრაციის გამტკიცებას, ასევე დაეხმარება პარტნიორ ქვეყნებს სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის დაძლევაში. ამ მხრივ ადმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივა შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტების გამოყენების საშუალებით დამატებით გაუწევს მათ დახმარებას მაკროეკონომიკის დარგში.

ორმხრივი გალდებულებების გაღრმავება

4. პრაღის სამიტის მონაწილეები გამოთქვამენ სურვილს, რომ ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთობა უფრო გაღრმავდეს და ინტენსიური გახდეს. ამ თვალსაზრისით გასათვალისწინებელია თითოეული პარტნიორი ქვეყნის კონკრეტული სიტუაცია და სწრაფვა ევროკავშირთან უკვე არსებული ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების თვალსაზრისით. სამიტის მონაწილეები ეთანხმებიან იმ აზრს, რომ ადმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული ორმხრივი თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ხელშეკრულების შექმნას ასოცირების შესახებ ევროკავშირსა და იმ პარტნიორ ქვეყნებს შორის, რომლებსაც სურვილი აქვთ და, ამასთან, შეუძლიათ შეასრულონ აღებული გალდებულებები.

5. ახალი ხელშეკრულება ასოცირების შესახებ, გარდა უკვე არსებული საშუალებებისა ვაჭრობისა და ინგესტიციის კუთხით, ხელს შეუწყობს ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას. ამის საშუალებით ვაჭრობისა და ინგესტიციების ლიბერალიზაციის დადგებითი ეფექტი დაარეგულირებს და დაახლოებს მას ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან. ღია ბაზარი და ეკონომიკური ინტეგრაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარტნიორი ქვეყნების მდგრადი ეკონომიკის განვითარებაში და ხელს უწყობს პოლიტიკურ სტაბილურობას. ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის ორმხრივი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის

ზონის შექმნა, გრძელვადიანი პერსპექტივით შეიძლება გადაიზარდოს დრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის ზონის ქსელში.

6. ევროკომისია თითოეული პარტნიორი ქვეყნისთვის განავითარებს მრავალმხრივი ინსტიტუციური განვითარების პროგრამას, რათა გაუმჯობესდეს მათი ადმინისტრაციული პოტენციალი. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს ტრნინგების ჩატარებას, ტექნიკური დახმარების გაწევას და შესაბამის ინოვაციურ ღონისძიებებს.

7. აღმოსავლეთის პარტნიორობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოქალაქეთა მიმოსვლის ხელშეწყობა და სავიზო რეჟიმის გამარტივება უსაფრთხო გარემოში. სავიზო რეჟიმის გამარტივება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეთა მიმოსვლას. ევროკავშირი, მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის კუთხით, თანდათანობით გადადგამს ნაბიჯებს კონკრეტული პარტნიორი ქვეყნებისათვის სრული სავიზო ლიბერალიზაციის კუთხით. ეს გრძელვადიანი მიზანია, რასაც წინ უნდა უძლოდეს კარგად მართული და უსაფრთხო მიმოსვლა.

8. აღმოსავლეთ პარტნიორობის მიზანია გააძლიეროს ენერგეტიკული უსაფრთხოება. ეს განხორციელდება გრძელვადიანი თანამშრომლობით, რომელიც ეხება სტაბილურ, უსაფრთხო მომარაგებასა და ტრანზიტს. აღნიშნული თანამშრომლობა ასევე მოიცავს ენერგეტიკის რეგულირების გაუმჯობესებას, მის ეფექტურობას და განახლებადი ენერგეტიკული წყაროების კიდევ უფრო მეტად გამოყენებას. დებულება ენერგეტიკული ურთიერთდამოკიდებულების შესახებ შეიძლება შევიდეს ხელშეკრულებაში ასოცირების შესახებ ან სხვა ორმხრივ შეთანხმებაში ევროკავშირსა და მის პარტნიორ ქვეყნებს შორის. ენერგეტიკული თანამშრომლობის განსახორციელებლად საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ევროკავშირის მეორე სტრატეგიული ენერგეტიკული დოკუმენტი და ასევე თითოეული პარტნიორი ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკა.

ურადღების გამახვილება მრავალმხრივ თანამშრომლობაზე

9. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივით, მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, მოხდება ღონისძიებათა ხელშეწყობა, რაც გზას გახსნის თავისუფალი დიალოგისაკენ და მნიშვნელოვანწილად წაადგება პარტნიორობას. მისი მუშაობა დაფუძნებული იქნება ერთობლივ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებთან ერთად მიიღებს. აღნიშნული ინიციატივა ასევე ხელს შეუწყობს ფორუმის ჩამოყალიბებას, სადაც მოხდება ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება გარდამავალ ეტაპზე პარტნიორი ქვეყნების მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ, აგრეთვე იმსჯელებენ მიმდინარე რეფორმებსა და მოდერნიზაციაზე. ეს კი, თავის მხრივ, ევროკავშირს დამატებით საშუალებას მისცემს, თვალი ადევნოს აღნიშნულ პროცესებს, რაც ხელს შეუწყობს საერთო პოზიციისა და ერთიანი მოქმედებების განვითარებას. მრავალმხრივი ღონისძიებების მიზანია,

ხელი შეუწყოს კავშირს პარტნიორ ქვეყნებს შორის, ეს იქნება ფორუმი დისკუსიისათვის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის მომავალი განვითარების შესახებ.

პარტნიორი ქვეყნებისათვის ევროკავშირთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის მიზნით გადამწყვეტი როლი აქვს საკანონმდებლო და მარეგულირებელი სექტორის დაახლოებას ევროსტანდარტებთან. მრავალმხრივი ღონისძიებების ფარგლებში გაიმართება სპეციალური შეკრებები, რომელის მეშვეობითაც ევროკავშირი წარმოადგენს და განმარტავს ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებს, ასევე შეადარებს პარტნიორ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკასა და კანონმდებლობას.

10. ყოველ ორ წელიწადში ერთხელ აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ჩატარდება შეხვედრა პარტნიორი სახელმწიფოების მეთაურებითან ან მთავრობის წარმომადგენლებთან. შეხვედრები გაიმართება ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებში. საგარეო საქმეთა მინისტრები ერთმანეთს ყოველწლიურად შეხვდებიან. ამ მაღალი დონის შეხვედრებით კიდევ უფრო განვითარდება და დაიხვეწება აღმოსავლეთის პარტნიორობა.

11. ევროკომისიის მიერ ოთხი თემატური პლატფორმა მომზადდა, რაც მიზანზეა ორიენტირებული და ემსახურება დია და თავისუფალი დისკუსიის ჩატარებას. ის თანამშრომლობის ძირითად არეალებს მოიცავს, კერძოდ კი: დემოკრატიის განვითარებას, კარგი მმართველობის სიტემის შემუშავებას და სტაბილურობას, ასევე ეკონომიკურ ინტეგრაციას და ევროკავშირის დარგობრივ პოლიტიკასთან დაახლოებას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებასა და ადამიანებს შორის კონტაქტს.

12. 2009 წლის ივნისში ჩატარდება პირველი შეხვედრები ოთხი თემატური პლატფორმის ირგვლივ. თითოეული პლატფორმისათვის შემუშავდება რეალისტური, მთავარი ამოცანები, რომელიც სამუშაო პროგრამის შესაბამისად, პერიოდულად, უნდა განახლდეს და გაანალიზდეს მიღწეული წარმატებების კუთხით. აღნიშნული შეხვედრები წელიწადში ორჯერ მაინც ჩატარდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ მაღალი დონის ის ოფიციალური პირები, რომლებიც ჩართული არიან შესაბამისი პოლიტიკის სფეროების რეფორმულ საქმიანობაში. აღნიშნულ პლატფორმებზე მუშაობას შესაძლებელია დროდადრო ხელი შეუწყოს დარგობრივი მინისტერიალის შეხვედრებმა. ასევე კონკრეტული სფეროების მიხედვით წარმოდგენილი იქნება ჯგუფები, რომლებიც ხელს შეუწყოს თემატური პლატფორმის მუშაობას კონკრეტულ სფეროებში.

ეწ. მესამე ქვეყნებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ თემატური პლატფორმის კონკრეტულ პროექტებში, დონისძიებებსა და შეხვედრებში, სადაც თავიანთ წვლილს შეიტანენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ჩატარებულ კონკრეტულ საქმიანობასა და ზოგადი მიზნების განხორციელებაში. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივით მრავალმხრივი ღონისძიებების ფარგლებში გამართულ საქმიანობაში მონაწილეობა უნდა იყოს მოხალისეობრივი, არასავალდებულო და უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობის პრინციპებს.

13. პრაღის სამიტის მონაწილეები ხელს შეუწყობენ მთავარი ინიციატივების წინ წამოწევას, რაც დამატებით იმპულსს მისცემს, ასევე კონკრეტულ აზრს შესძენს და ხელშესახებს გახდის აღმოსავლეთის პარტნიორობას. აღნიშნული ინიციატივები მზადაა პლატფორმების აღრე განსახილველად.

14. რეგიონული ინიციატივებით ურთიერთშევსება (შეესება) ევროკავშირსა და მის შესაბამის პარტნიორებს, კერძოდ კი, შავი ზღვის ქვეყნებს შორის, უზრუნვრდებული იქნება. სხვა რეგიონულ ინიციატივებთან ურთიერთობა უნდა განიხილებოდეს კონკრეტული შემთხვევის საფუძველზე.

15 პრაღის სამიტის ესტრებოდნენ ევროპარლამენტის უმაღლესი წარმომადგენლები, რეგიონული კომიტეტი, ევროპის ეკონომიკისა და სოციალურ საქმეთა კომიტეტი, ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი. აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის მრავალმხრივი პლატფორმის ფარგლებში ჩაერთვება მონაწილეთა ფართო სპექტრი, ესენი არიან სამინისტროები და სააგენტოები, სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტი, სამოქალაქო საზოგადოება, საერთაშორისო ორგანიზაციები (როგორიცაა ეუთო, ევროპის საბჭო და ევროპული თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია), საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციები, კერძო სექტორი და სოციალური პარტნიორები.

სწორედ ამის გამო პრაღის სამიტის მონაწილეებმა მოიწვიეს ევროკავშირის პარლამენტისა და პრტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები, რათა განსახილველად გამოეტანათ ევროპარლამენტის მიერ წამოყენებული წინადადება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აღმოსავლეთის საპარლამენტო ასამბლეის შექმნის თაობაზე. ევროკომისიამაც უნდა განავითაროს და შესთავაზოს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მოდელის ჩამოყალიბება აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში.

მონაწილეებმა ასევე მოიწვიეს ევროპის საინვესტიციო ბანკის წარმომადგენლები, რათა აღმოსავლეთის სამეზობლო მანდატის ფარგლებში შემუშავდეს საინვესტიციო ხელშეწყობა მცირე და საშუალო საწარმოების დასაფინანსებლად. სამიტზე მოწვეულები იყვნენ ევროპის საინვესტიციო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციები შესაბამისი ერთობლივი მცირე და საშუალო საწარმოების შესაქმნელად.

დაფინანსება

2009 წლის მარტში ევროსაბჭოს მიერ მიღებული აღმოსავლეთის პარტნიორობის დეკლარაციის ფარგლებში, ევროკავშირის მიერ ფინანსური დახმარების გაზრდა ხელს შეუწყობს აღმოსავლეთის პარტნიორობის მიზნების მომსახურებას და მხედველობაში მიიღებს ინდივიდუალური პარტნიორი ქვეყნების მიერ მიეღწეულ დადებით შედეგებს. პრაღის სამიტის მონაწილეები თანხმდებიან იმ საკითხზე, რომ ევროპის თანამეგობრობის საგრანტო დახმარებისა და ნაციონალური

თანადაფინანსების გარდა აღმოსავლეთის პარტნიორობის განხორციელება მოითხოვს დამატებით ფინანსურ რესურსებს და ამიტომ ისინი ითხოვენ, რომ სხვა დონორმა ორგანიზაციებმა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციებმა და კერძო სექტორმა გამოყოს დამატებითი დაფინანსება რეფორმების, მნიშვნელოვანი ინიციატივებისა და პროექტების დასაფინანსებლად.

17. აღმოსავლეთის პარტნიორობა უნდა მოიცავდეს ახლებურ მიდგომას, რათა ხელი შეუწყოს ერთობლივ მფლობელობასა და ღრმა თანამშრომლობას საჯარო და კერძო სექტორებს შორის. აქტიური პოლიტიკურმა მხარდაჭერამ, ევროკავშირის წაქეზებამ და გარანტიებმა კერძო სექტორისათვის უნდა შექმნას პირობები, რომ კერძო სექტორი უფრო მოტივირებული იყოს პარტნიორი ქვეყნების კონკრეტული პროექტების დასაფინანსებლად და ამით თავისი წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთ პარტნიორობის მიერ შემუშავებული მიზნების მისაღწევად.

18. პრაღის სამიტის მონაწილეებმა მიმართეს ევროპის საერთაშორისო ბანკსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, ასევე ხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუციებს, გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა, დაეხმარონ ყველა პარტნიორ ქვეყანას რეფორმების ჩატარებაში, მოდერნიზაციის პროცესის წარმართვაში და შესაფერისი საინვესტიციო პროექტის გამოვლენაში.

დასკვნები

19. პრაღის სამიტის მონაწილეები შეთანხმდნენ აღმოსავლეთის პარტნიორობის საკვანძო პრინციპებისა და მიზნების ხელშეწყობის აუცილებლობაზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად და მობილიზების მხარდასაჭერად. რაც უფრო თვალსაჩინო იქნება კონკრეტული პროექტებითა და ღონისძიებებით გამოწეული დადებითი შედეგები, მით უფრო დაახლოვებს მათთან მოქალაქეებს.

20. პრაღის სამიტის მონაწილეებმა მოუწოდეს ევროკავშირის საბჭოს ამჟამინდელ და მომავალ თავმჯდომარეებს, ასევე ევროკომისიას, რათა მათ უფრო ინტენსიური გახადონ ერთობლივი ძალისხმევა პარტნიორი ქვეყნების მიმართ, რომ დაგინდეს მინისტერიალისა და უმაღლესი ოფიციალური პირების შეხვედრის კონკრეტული დრო აღმოსავლეთის პარტნიორობის მარავალმხრივი გაფართოების ფარგლებში. ეს განსაზღვრავს თემატური პლატფორმის დონისძიებათა პრიორიტეტებს 2009-2010 წლის პრიორიტეტების და მოამზადებს წინადადებებს მნიშვნელოვანი ინიციატივების აღრეულ ეტაპზე დასანერგად.

21. პრაღის სამიტის მონაწილეები დარწმუნებულები არიან, რომ აღნიშნული სამიტი შედეგს გამოიღებს და აღმოსავლეთის პარტნიორობის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, გააძლიერებს სტაბილურობასა და კეთილდღეობას და ხელშესახებ სარგებელს მოუტანს თითოეული მონაწილე ქვეყნის მოქალაქეს. პრაღის სამიტის მონაწილეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ, რათა მიაღწიონ ერთიანი დეკლარაციით გათვალისწინებულ მიზნებს.